KA020176058607712

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

ბრძანება

№ 1-1/1633

10 / აგვისტო / 2012 წ.

რიგ უზუფრუქტის ხელშეკრულებათა შეწყვეტასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

"სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 47^2 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეწყვეტილ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ქონების უზუფრუქტით გადაცემის თაობაზე ამ ბრძანების №1 დანართში მითითებული ხელშეკრულებები;
2. დაევალოს სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
3. ბრძანება ოფიციალური გაცნობის მიზნით დაეგზავნოს წინამდებარე ბრძანების დანართში მითითებულ უზუფრუქტუარებს;
4. წინამდებარე ბრძანების გასაჩივრება შეიძლება საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) ხოლო შემდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი), კანონით დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში.

მინისტრის მოადგილე

დავით გიორგაძე